ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: მოქ. შალვა გელაშვილი 593 33 57 65

საფუძველი: 13.08.2013 წ. №12/1322541-16

მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ნუცუბიძე, №127

საკ.კოდი: 01.14.02.025.041

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება

26.07.2013წელს №815479 AR1140259

ფუნქციური დანიშნულება: შერეული ტიპის შენობა

კლასი: IV კლასი

AR141273

კორპუსი 11 სართული

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (19.07.2013) დადგინდა:

-3.30 ნიშნულზე „10-1“ მონაკვეთში „მ-მ“ ღერძთან შექმნილია დონე იატაკიდან აწევა 0.15მ. 10-10 და 7-7 ღერძებს შორის შემცირებულია მანძილი 0,20 მ-ით, ხოლო 3-3 და 2-2 ღერძებს შორის გაზრდილია მანძილი 0.20მ-ით. „8-12 მონაკვეთში „ე-ე“ ღერძზე მოწყობილია მონოლითური კედელი, ამავე მონაკვეთში „ე-კ“ ღერძებს შორის გაუქმებულია ფართი 100 მ^2. „ზ-ზ“ ღერძზე გაუქმებულია ერთი კოლონა, „2-2“ ღერძზე ღიობებში მოსაწყობია მინაბლოკი, „4-4“ ღერძზე სადარბაზოს გვერდით მოწყობილია ერთი კოლონა, „ა-ა“ ღერძზე მონაცვლებულია ავტოსადგომში შესასვლელი კარი, და დამატებულია ერთი ფრამუგა, „12-12“ ღერძზე მონაცვლებულია ორი ფრამუგა. „2-2“ ღერძზე შეცვლილია კედლის კონფიგურაცია, „მ-მ“ ღერძზე კედელი გადაწეულია „ლ-ლ“ ღერძისკენ 1.50 მ-ით რის გამოც შემცირებულია ფართი 18მ^2-ით. სარდაფიდა პირველ სართულზე დამაკავშირებელ კიბეებზე შემცირებულია საფეხურების რაოდენობა.

I სართულზე „მ-თ“ მონაკვეთში „3-3“ და 10-10 ღერძებზე არ არის მოწყობილი ფასადის კედლები და ფანჯრები, „მ-მ“ ღერძზე „3-2“ მონაკვეთში შეცვლილია კედლის კონფიგურაცია, „მ-თ“ მონაკვეთში „2-1“ ღერძებს შორის ავტოფარეხის ღიობები შესავსებია კარებით, ხოლო „1-1“ ღერძზე მდებარე კედელში დამატებით მოწყობილია ღიობები. „ზ-თ“ მონაკვეთში „10-10“ ღერძზე მდებარე კედელი გადაწეულია შიგნით და შექმნილია აივანი. „დ-ე“ მონაკვეთში მოსაწყობია კედელი, „ბ-გ“ მონაკვეთში შენობის წინ შეცვლილია კიბის კონფიგურაცია, ასევე კონფიგურაცია შეცვლილია „2-4“ მონაკვეთში მდებარე კიბეზე, „თ-თ“ ღერძზე მდებარე კედელი შეწეულია შიგნით რის გამოც თაღში კოლონები გამოსულია სიბრტყიდან. „ი-ი“ ღერძზე შეცვლილია სავენტილაციო შახტის ფორმა, ამავე ღერძზე გაუქმებულია სამი ფანჯრის და ერთი კარის ღიობი. „1-1“ ღერძთან შემცირებულია ავტოფარეხი სიგრძეში 1მ-ით.

II სართულზე „ი-ლ“ მონაკვეთში „10-10“ ღერძთან კედელი გადაწეულია წინ რის გამოც აინის ხარჯზე გაზრდილია საცხოვრებელი ფართი. „მ-ლ“ მონაკვეთში „3-3“ ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია აივნის კუთხე. VII დან- X სართულის ჩათვლით დამატებულია სახურავზე ამავალი კაპიტალური კიბეები, ხოლო ტექნიკური სართულები ღიობებით დაკავშირებულია სახურავებთან, აღნიშნული ტექნიკური სართულის სახურავები ნაცვლად კაპიტალურისა მოწყობილია მსუბუქი გადახურვით.

IX სართულზე „ზ-თ“ მონაკვეთში „10-7“ ღერძებს შორის გაუქმებულია აივანი და კარის ღიობების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები.

X სართულზე „ზ-ი“ მონაკვეთშიც შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია. „ლ-კ“ მონაკვეთშიც ლიფტის შახტის გვერდით დამატებულია კოლონა.

ა-მ[1] ფასადზე +0.00 ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟის გაბარიტები, დ-ე მონაკვეთში მოსაწყობია ვიტრაჟი. +2.85 ნიშნულზე „ა-ბ“ და „თ-ი“ მონაკვეთებში კონსოლების ქვეშ მოწყობილია რიგელები. +9.45 ნიშნულის ზევით „დ-ე“ მონაკვეთში აივნების ქვეშ მოწყობილია რიგელები. +16.05 ნიშნულზე „ბ-ბ“ ღერძთან გაზრდილია ვიტრაჟი სიმაღლეში 0.40 მ-ით.

„მ-ა“ ფასადზე ლიფტის შახტებზე მოპირკეთებებს შორის არ ფიქსირდება სართულშიუა გადახურვის ფილის სიბრტყეები. +2.85 ნიშნულზე „მ-ლ“ და „ბ-ა“ მონაკვეთებში კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. აღნიშნული ნიშნულიდან ზევით „ლ-კ“ მონაკვეთში ვიტრაჟების თავზე მოწყობილია რიგელები რის გამოც სემცირებულია ვიტრაჟების გაბარიტი. +19.35 ნიშნულზე „კ-ი“ მონაკვეთში აივანი შემინულია. ლიფტის შახტების გვერდით შეცვლილია სადარბაზოს ცხაურების ნახატი და გაბარიტი.

„2-12“ ფასადზე შეცვლილია +22.65 , +25.95 და +29.25 ნიშნულებზე ფანჯრების გაბარიტი და ნახატი. +19.35 ნიშნულზე „4-4“ ღერძთან ფასადის სიბრტყიდან კამოსულია კოლონის გვერდი.

„10-3“ ფასადზე +2.85 შეცვლილია ვიტრაჟების მდებარეობა და გაბარიტი, „3-3“ ღერძთან +12.75 დან +22.65 ნიშნულის ჩათვლით გაუქმებულია ვიტრაჟები. „10-10“ ღერძის მარცხნივ გადახურვის ნაწილი ნაცვლად ჰორიზონტალურისა მოწყობილია დახრილი ფორმის. +29.25 ნიშნულზე „5-3“ მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟი მოწყობილია მხოლოდ კარი.

კორპუსი 6 სართული

ფასადი 15-26 ღერძებში: -0.90 ნიშნულზე ზოგიერთ ღიობში ცხაური მოსაწყობია. 15-16 მონაკვეთში გაუქმებულია ორი ღიობი. სადარბაზოში შესასვლელებთანგაზრდილია კიბის გაბარიტი სიგრძეში. +3.30 ნიშნულის ქვემოთ ზოგიერთ მონაკვეთში დამატებულია რიგელები. +13.20 ნიშნულზე 16-17 მონაკვეთში გაზრდილია ცხაურის სიმაღლე.

ფასადი 26-15 ღერძებში: -0.90 ნიშნულზე 25-22, 20-18 და 16-15 მონაკველებში კონსოლების ძირი შესავსებია. დამატებულია ღიობები. +0.00 ნიშნულზე 17-15 მონაკვეთში კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. 22-21 მონაკვეთში გაუქმებულია აივანი და კარ-ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. 26-25 მონაკვეთში +0.00 დან +13.20 ნიშნულის ჩათვლით გარე შემავსებელი კედლები და კარები მოსაწყობია. +3.30 დან +9.90 ნიშნულის ჩათვლით გაზრდილია აივნების გაბარიტი სიგრძეში. +6.60 ნიშნულზე 23-23 ღერძთან მოაჯირზე დამატებულია მინა. 17-16 მონაკვეთში აივნის ღიობი გაზრდილია. +9.90 ნიშნულზე 17-17 ღერძზე კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი.

ფასადი ე[1]-ა[1] ღერძებში: +0.00 და +13.20 ნიშნულზე ნიშნულებზე დ[1]-ბ[1] მონაკვეთში ორ ფანჯარას მონაცვლებული აქვს ადგილი. +13.20 ნიშნულზე კედელზე ასახულია

ფილის და კოლონების ფრაგმენტი. დ^1-დ^1 ღერძთან გაზრდილია ხის ჟალუზის სიმაღლე. ე^1-ე^1 ღერძთან არ არის მოწყობილი ხის ჟალუზი. ე^1-დ^1 მონაკვეთში -3.30 ნიშნულზე გაზრიდლია ღიობის სიმაღლე.

ფასადი ა^1-ე^1 ღერძებში: -0.90 ნიშნულზე ა^1-გ^1 მონაკვეთში კედელი გაზრდილია სიგრძეში და სიმაღლეში.

შენობის შიგნით -3.30 ნიშნულზე 19-18 მონაკვეთში გაზრდილია ღიობის სიგანე. 25-26 მონაკვეთში გაუქმებულია ორი კოონა, ხოლო 26-26 და ე^1-ე^1 ღერძების კვეთაზე ერთი კოლონა დამატებულია. ე^1-დ^1 მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედლები და პანდუსი მოწყობა დასამთავრებელია. კოლონების გადმოსვლა კედლის სიბრტყიდან არ ემთხვევა საპროექტოს. ±0.00 ნიშნულზე 16-18 მონაკვეთში ორ სადარბაზოში კიბეები შებრუნებულია. სადარბაზოებში შეცვლილია კიბის საფეხურები, აღნიშნული კიბეების ქვეშ მოწყობილია ლითონის შველერები და საფეხურები ანაკრებია. ზოგიერთ მონაკვეთში დამატებულია კოლონა.

პროექტში არ არის ნაჩვენები რიგელები.

სახურავზე ზოგ მონაკვეთში დამატებულია პარაპეტი, ბ-ბ და დ-დ ღერძებში სადარბაზოებთან გაუქმებულია პარაპეტის ფრაგმენტი. დამატებულია სავინტილაციო შახტები და ორი სამერცხლე, აღნიშნულის წინ არ არის მოწყობილი მოაჯირები.

ორივე შენობის ფასადებზე დამატებულია გამწოვები, გამათბობლები და გამათბობლის კარადები, კონდენციონერები, სატელიტური ანტენები შეცვლილია ნაწილი გისოსების ნახატი, ზოგ ადგილში დამატებით მოწყობილია გისოსები, ნაწილი გაუქმებული. დაუსრულებელია ფასადის მოპირკეთება, შესავსებია საჩრდილობლები და ნაწილი მოსაწყობია. ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბაება საპროექტოს და მისასვლელი გზები მოსაწყობია. ფასადებზე ასევე შეცვლილია კარ-ფანჯრის ნახატი. ზოგ აივანზე დამატებულია ხის ჟალუზები. ზოგ აივანზე დამატებულია ლითონის სვეტები

საპროექტო ტერიტორიაზე, შენბის უკანა მხარეს ასევე გვერდით ნაწილები გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზს, საკადასტრო საზღვრებს ცდება ასევე ღობის და კიბის ნაწილი.

პროექტის ხარვეზი: სადარბაზოში შესასვლელებში განთავსებულია კარი რაც შესრულებულია გეგმის ნახაზის მიხედვით.

შეამოწმა: ლ.ცინცაძე

ვ.ამისულაშვილი

ბ.პაკელიანი

გ.ბაღაშვილი



შალვა გელაშვილი	26.08.2013
მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №127	მასშტაბი: 1:600